ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2367330

ნომერი: AR1367513

თარიღი : 29.12.2015

გაცემის თარიღი : 31.12.2015

გაცნობის თარიღი : 31.12.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 21 , (ნაკვ. 64/39) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ციცინო ფუტკარაძე პ/ნ 01001000999
- წერეთლის გამზირი #89

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ალეგრო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204865271
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ციცინო ფუტკარაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001000999

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზ შაშიაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N21 (ნაკვ. 64/39)–ში (ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქცია–ადაპტაციის მშენებლობის ნებართვის გაცემას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი უნდა იქნას ტოპოგეგმა ხე–ნარგავებისა და კომუნიკაციების დატანით (მათი მჭრა/გადარგვისა და გადატანის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი თანხმობები) და საპროექტო გენგეგმა (წრმოდგენილი გენგეგმით შენობები სცდება საკადასტრო საზღვრებს);
2. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (რეგისტრაციის N882015575537, მომზადების თარიღი 09.10.2015) მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა–ნაგებობები დატვირთულია იპოთეკით, წარმოდგენილი უნდა იქენს შესაბამისი თანხმობა სარეაბილიტაციო სამუშოებთან დაკავშირებით;
3. განმარტებითი ბარათი არ არის ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ;
4. არ არის წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები (არსებული და საპროექტო);
5. გეგმებზე საკადასტრო საზღვრების კონფიგურაცია არ შეესაბამება საკადასტრო გეგმას;
6. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა
დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება". შესაბამისად, განმარტებით ბარათსა და საპროექტო დოკუმენტაციაში დემონტაჟი, მონგრევა არ უნდა ეწეროს;
7. მეორე სართულიდან 2–ზ ღერძებთან მონიშნულია "არსებული დეკორატიული მოაჯირი", რაც ანაზომებში არ ჩანს;
8. არ არის წარმოდგენილი ფასადის ანაზომები;
9. საპროექტო სახურავის გეგმაზე არ არის ნაჩვენები წყალშემკრები და ნალექის გადაყვანის სისტემა;
10. გეგმებზე არ არის ნაჩვენები ჭრილი 3–3; ამასთან დასაზუსტებელია ჭრილი 3–3 (ადგილობრივი);
11. ტერასების მოწყობით ზ–ზ ღერძზე ირღვევა სამეზობლო მიჯნები.
12. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესაძლებლობის მიზანშეწონილობის თაობაზე;
13. წარმოდგენილი უნდა იქნეს სრულყოფილი ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედიდან მასალი, ზომების, ნიშნულების ჩვენებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.